# ისწავლე სახლში

## 3 კლასი

# წერა



შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით – 2018-2024

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

## სერიის კონცეფცია

სერია დაეხმარება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, **ისწავლონ ქართული ენა,** ანუ შეძლონ მშობლიურ ენაზე **გამართულად წერა და კითხვა.**
წიგნებში მოცემული აქტივობები **შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.**
კითხვის რვეულებში მოცემული მწყობრი სავარჯიშოების სისტემა ასწავლის პატარა მკითხველებს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმას, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებას, ტექსტის ძირითადი კომპონენტების გამორჩევასა და მათ შორის კავშირების დამყარებას, გაუმდიდრებს ლექსიკას. სერიაში შესული ნაწყვეტები მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურიდან პატარებს გემოვნებიან მკითხველებად გაზრდის, წერის აქტივობები კი მათ ნააზრევის სწორად გადმოცემაში დაეხმარება.

## წიგნების სტრუქტურა

თითოეულ კლასში ტექსტები და სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლეთათვის საინტერესო თემების მიხედვით – იქნება ეს თავგადასავალი, წვეულება, საიდუმლო, სოფელი, წიგნის შერჩევა თუ სხვა. თემები ერთი კლასის ფარგლებში წერისა და კითხვის რვეულებში ერთმანეთს მიჰყვება, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო ღრმასა და საინტერესოს ხდის. თუმცა წერის ან კითხვის რვეულის გამოყენება ცალკეც შეიძლება, იმის მიხედვით, ამა თუ იმ მოსწავლეს რომელი მიმართულებით სჭირდება განვითარება.
თითოეული თემის ბოლოს არის შეფასების გრაფა, რომელშიც სამუშაოს კარგად შესრულებისთვის, წასახალისებლად შეგიძლიათ მოსწავლეს ვარსკვლავი, გული ან სხვა სახალისო ფორმა ჩაუხატოთ.

## სერიის გამოყენება

სერიის სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რომ მოსწავლეებმა შინ უნდა იმუშაონ, რადგან საგაკვეთილო საათები ისედაც დატვირთულია. ეს ერთგვარად სკოლაში ნასწავლი მასალის განმტკიცება და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენაა.
პედაგოგებს შეუძლიათ სერიის კომპონენტები გამოიყენონ, როგორც საშინაო დავალების რვეულები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები; ხოლო მშობლებს, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ შვილების განათლებაზე, სახლის პირობებში მთელი კურსის წარმართვის საშუალება ეძლევათ. სავარჯიშოები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე დამოუკიდებლადაც გაართმევს თავს სწავლის პროცესს.

**თინათინ კუხიანიძე**
**მარინა ბედოშვილი**

ისწავლე სახლში
**წერა**
მე-3 კლასი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2018

რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ილუსტრატორი **ია მახათაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ISBN 978-9941-30-188-9

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN 3
Writing

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

www.sulakauri.ge

# სარჩევი


არდადეგების შემდეგ ... 4
იგავი ... 8
ლექსი ... 12
აღწერა ... 14
ვარაუდები ... 18
სიკეთე ... 20
სცენარი ... 22
დიორამა ... 24
დეტექტივი ... 26
როგორ? ... 28
დაბადების დღე ... 32
ცნობილი ადამიანი ... 34

# არდადეგების შემდეგ

1 აღწერე სურათები, როგორია ზაფხული მთაში, ზღვაზე, სოფელში?







2 ზემოთ აღწერილი ადგილებიდან შენ სად ამჯობინებ დასვენებას? რატომ?

იქნებ უცხო ქვეყანაში წახვიდოდი სამოგზაუროდ, ან სულაც სახლში დარჩებოდი საყვარელ კომპიუტერთან? ვისთან ერთად გაერთობოდი ყველაზე მეტად?

**3** სად გაატარე ზაფხულის არდადეგები? ჩახატე ან ჩააკარი ფოტო.

**4** აღწერე, ყოველდღიურად რას საქმიანობდი ამ ზაფხულს, რომელ საათზე იღვიძებდი, რას აკეთებდი დღისით? თამაშობდი, კითხულობდი, ტელევიზორს უყურებდი, მუსიკას უსმენდი, ხატავდი...

**შეგიძლია გამოიყენო სიტყვები:**
ყოველ დილას
ხანდახან
ყოველთვის
ჩვეულებრივ
ხშირად
ზოგჯერ

# ისევ სკოლა

**1** დაწერე სკოლაში დაბრუნების 2 დადებითი და 2 უარყოფითი მხარე.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**2** აღწერე სკოლის ჩვეულებრივი სასწავლო დღე.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**3** აღწერე სკოლის უჩვეულო სასწავლო დღე.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

# იგავი

**1** ადამიანს, რომელიც იგავ-არაკებს წერს, მეიგავე ჰქვია. შენც შეგიძლია გახდე მეიგავე და დაწერო იგავი. აბა, სცადე!

წაიკითხე იგავის დასაწყისი.

ერთხელ კუ და ანტილოპა ერთმანეთს შეხვდნენ. ანტილოპამ დაიტრაბახა:

– მე ყველაზე სწრაფად დავრბივარ!

დაწერე გაგრძელება.

2 იგავის წერას რომ დაამთავრებ, შემოატრიალე რვეული და წაიკითხე ამ იგავის აფრიკული ვარიანტი.

-მე შენზე უფრო სწრაფი სირბილი ვიცი, - არ ჩამორჩა კუ.
-თუ ასეა, შევეჯიბროთ! - გაეცინა ანტილოპას.
მართლაც, მეორე დღეს დილაადრიან დაიწყეს შეჯიბრი. ანტილოპამ მოკურცხლა და კუ ჩამოიტოვა. ცოტა ხნის შემდეგ დაიძახა:
-ეი, ძმობილო, სად, ხარ?
-აქ ვარ! - უპასუხა კუმ.
გაოცებული ანტილოპა უფრო სწრაფად გაიქცა და დაიძახა, ძმობილო, სად ხარ?
- აქ ვარ! - ისევ უპასუხა კუმ.
ამის შემდეგ ანტილოპა წამდაუწუმ კითხულობდა, სად ხარ, ძმობილო და კუც პასუხს არ აყოვნებდა, აქ ვარ, აქო.
როგორც იქნა, მიაღწია ანტილოპამ დანიშნულ ადგილას და რას ხედავს, კუ უკვე იქაა და არხეინად ელოდება მას.
თურმე წინა ღამით კუმ შეკრიბა მთელი თავისი ნათესაობა და ჩაამწკრივა ბალახებში. მეორე დილას, ანტილოპა რამდენჯერაც გასძახებდა კუს, იმდენჯერ ბალახებში ჩამალული რომელიმე კუ გამოეპასუხებოდა.
ასეა: სწრაფად მორბენალ ფეხებს ჭკვიანი თავი სჯობს.

3 შენი და აფრიკული იგავი შეადარე ერთმანეთს და შეავსე წრეები საერთო და განმასხვავებელი ნიშნით.



# აირჩიე პერსონაჟები

**1** კიდევ ერთი იგავის დაწერა სცადე. ამჯერად შენ მოიფიქრე მთელი სიუჟეტი. მანამდე კი სასურველი პერსონაჟები შეარჩიე.

თუთიყუში



სელაპი



ბზიკი



კატა



ტურა



თხუნელა



**2** მოიფიქრე ჭკუის სასწავლებელი რაიმე ამბავი. ბოლოს გამოიყენე შესაბამისი ანდაზა, მაგალითად: ტყუილს მოკლე ფეხები აქვს...

**ცხოველი შეიძლება იყოს:**

ზარმაცი
ჭორიკანა
ცნობისმოყვარე
ძუნწი
ანჩხლი
კეთილი

# ლექსი

**1** გახდი პოეტი და დაწერე პატარა ლექსი ამ ინსტრუქციის მიხედვით.

პირველ ხაზზე დაწერე ერთი სიტყვა, რაზეც ან ვისზეც წერ ლექსს. (მაგალითად, მზე).
მეორე ხაზზე ორი სიტყვით დაწერე, როგორია პირველი სიტყვა (მაგალითად, ბრდღვიალა, ცხრათვალა).
მესამე ხაზზე დაწერე სამი სიტყვით რას შვრება, რას აკეთებს მზე. (მაგალითად, კაშკაშებს, ათბობს, ანათებს).
მეოთხე ხაზზე დაწერე პირველ სიტყვასთან დაკავშირებული წინადადება (მაგალითად, ახარებს ჩემს გულს და სულს).
მეხუთე ხაზზე ისევ დაუბრუნდი მთავარ პირველ სიტყვას, შეგიძლია მის ნაცვლად მისი მსგავსი სიტყვა გამოიყენო. მაგალითად, მნათობი.



**2** შეგიძლია ლექსი თემა თავად შეარჩიო ან რომელიმე ამ სიტყვაზე მოიფიქრო: დედა, სახლი, ვარსკვლავი, წიგნი, ტყე, საათი, ჯადოქარი, ქოლგა, ბუ, გოგრა, გომბეშო, ქარი... ისევ მიჰყევი ინსტრუქციას.

___________________

არსებითი სახელი

___________________ ___________________

ზედსართავი სახელი ზედსართავი სახელი

___________________ ___________________ ___________________

ზმნა ზმნა ზმნა

___________________

ოთხსიტყვიანი წინადადება

___________________

არსებითი სახელი

**3** ახლა კი გავართულოთ დავალება და „ბრილიანტის“ ფორმის ლექსი დავწეროთ.

______________
არსებითი სახელი

______________ ______________
ზედსართავი სახელი ზედსართავი სახელი

______________ ______________ ______________
ზმნა ზმნა ზმნა

______________________________
ოთხსიტყვიანი წინადადება

______________ ______________ ______________
ზმნა ზმნა ზმნა

______________ ______________
ზედსართავი სახელი ზედსართავი სახელი

______________
არსებითი სახელი

**რჩევა**

აღწერისას რაც უფრო მეტ საინტერესო სიტყვას გამოიყენებ, მით უკეთესი. მაგალითად: ლამაზი, მშვენიერი, თვალწარმტაცი, საუცხოო, უმშვენიერესი...

**4** კიდევ მოიფიქრე მსგავსი სიტყვები.

პატარა ______________ ჭკვიანი ______________

დიდი ______________ მამაცი ______________

საშიში ______________ მკვეხარა ______________